



„სექტორი 12“ – ფინალი



10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტის – „სექტორი 12“-ის ფინალი გაიმართა. პროექტის მიზანი იყო სათავგადასავლო გურის მეშვეობით სტუდენტები უკეთ დაუფლებოდნენ უნივერსიტეტის ისტორიას და შეეცნობოდნენ უფრო მეტი უნივერსიტეტის მოღვაწეების შესახებ.

გვ. 3

„საქართველო ISAF“-ში



ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრატეგიაში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ფოტოგამოფენა „საქართველო ISAF“-ში.

გვ. 2

საერთაშორისო გამოცდილება თსუ ლოქორანტებისათვის

იმ პროექტებს შორის, რომელიც თსუ სამედიცინო ფაკულტეტის მაგისტრატურისა და ლოქორანტურის სტუდენტებისათვის უახლოეს პერიოდში ამოქმედდება, ორის გამოყოფა შესაძლებელია. ერთი საქართველოში აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით ნიუ-იორკის უნივერსიტეტის საექთნო კოლეჯის პროექტია, მეორე – გრომსოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის.

გვ. 2

„თსუ-გორელა მსემენლს“ წინასაახალწლო კონსერტებზე ელის



გვ. 4

2013 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წელი



2013 წლის 8 თებერვალს კავკასიაში და საქართველოში პირველი უნივერსიტეტის დაარსებიდან 95 წელი სრულდება.

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმზრდელი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება და გაზაფხულზე უკვე სამშობლოში დაბრუნდა, რათა ხორცი შეესხა თავისი ოცნებისათვის.

12 მაისს თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის სამოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს დაარსდა „ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის“ სამოგადოება, რომელმაც დიდი როლი ითამაშა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

1917 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებელთა მუშაობა უმაღლესი სასწავლებლის გახსნისკენ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა. გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გახსნა განცხადება ქართული უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შესახებ.

1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით, 8 თებერვალს),

ბაბრძელები გვ. 3 გვ.

ფოტოკონკურსის „UNIკადრი“ გამარჯვებული ფოტოებიდან. ავტორი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ერეკლე ქადაგიძე

თსუ მეცნიერების კვლევა ბაქტერიებთან ბრძოლის საშუალებების საშუალებებზე

გამრავლებული ინფექციური და ვირუსული დაავადებები, ის პრობლემა რასაც მსოფლიოსათვის თავის მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. უბრალოდ მასთან ბრძოლის საშუალებები შეიკვალა. ჩვენი წინაპრები ამ დაავადებებს სხვადასხვა ნახარშებით ან სულაც შელოცვებით უბრძოდნენ. ჩვენ ამისათვის სხვა საშუალებები გავაჩვენებთ.

როგორც წესი, როდესაც დაავადებისას მიკრობები გამრავლებას იწყებენ, ორგანიზმში მათი მალე გემპერატორი ებრძვის. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ინფექციური დაავადების მიზეზი ორგანიზმში გამრავლებული გოქსიკური მიკრობებია. თუ ისინი არ გამრავლდნენ, მაშინ დაავადებაც არ იქნება. – განმარტავენ მეცნიერები. თსუ მეცნიერები, ბაქტერიებზე ბაქტერიოფაგების (იგივე ფაგები, ვირუსები, რომლებიც შერჩევით ანადგურებენ ბაქტერიულ უჯრედებს) და ანტიბიოტიკების გავლენას ჯერ კიდევ 1985 წლიდან სწავლობენ. 2009 წლიდან 2011 წლის პერიოდში კვლევა „ბაქტერიოფაგების

და ანტიბიოტიკების კონცენტრაციის ეფექტი ბაქტერიების მრავალთა მიმართებაში“ თსუ მეცნიერთა მიერ ორი გრანტის – რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და CNRS (Centre National de la Recherche Scientifique,) საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტის ფარგლებში შესრულდა. კვლევის ნაწილი თსუ მუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინტერდისციპლინური ბიო-ფიზიკის მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში გარდატეხილი, ნაწილი კი საფრანგეთში CNRS-თან არსებულ ლაბორატორიაში.

(Institut de Microbiologie de la Méditerranée, Laboratoire de Chimie Bactérienne, Marseille, France).

კვლევას ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ მუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, ამავე ფაკულტეტთან არსებული სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი თამაზ მძინარაშვილი ხელმძღვანელობდა.

კვლევაში ჩართულნი იყვნენ ასევე: ირინა პაპუკაშვილი – თსუ მუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი; ნინო შენგელია –


ბაბრძელები გვ. 2 გვ.

საქართველოს ეროვნული ატლასი

თსუ მეცნიერთა მალისხმევით საქართველოს ახალი ეროვნული ატლასი გამოიცა. საქართველოს ეროვნული ატლასი წარმოადგენს სამეცნიერო-საინფორმაციო ხასიათის კომპლექსურ გეოგრაფიულ და კარტოგრაფიულ ნაწარმოებს. მასში განთავსებული თემატური რუკები შედგენილია ცნობილი ქართველი მეცნიერების მიერ (55 ავტორი) და საფუძვლად უდევს შესაბამისი დარგების თანამედროვე მეცნიერული მიღწევები. ატლასის რუკების ელექტრონული ვერსია შეიქმნა თანამედროვე გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (GIS) გამოყენებით. ატლასის პროექტი შესრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში (www.geography.tsu.ge), მუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულების მონაწილეობით. მასზე მუშაობა მიმდინარეობდა ხუთი წლის განმავლობაში.

ატლასის თემატური რუკების შედგენისას გამოყენებული იქნა გარემოს დაცვის, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროების, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის და საქართველოს საპატარქოსო მასალები. აღნიშნული პროექტი (ატლას-

ბაბრძელები გვ. 2 გვ.





„საქართველო ISAF“-ში

ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოეწყო ფოტოგამოფენა „საქართველო ISAF“-ში. გამოფენა ვიცე-პრემიერმა, თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა დაათვალიერეს. თავდაცვის სამინისტროს მიერ გადაღებული ფოტოებზე აღწერილი ქართველი ჯარისკაცების სამშვიდობო მისიამი მონაწილეობაა ასახული. გამოფენის შემდეგ მინისტრებმა სტუდენტებთან შეხვედრა გამართეს, სადაც საერთაშორისო გეოგრაფიკულ ბროშურის საქმეში საქართველოს მიერ შეგანილი წვლილის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სტუდენტების შეკითხვებს უპასუხეს. ფოტოგამოფენა „საქართველო ISAF“-ში პირველად ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში გაიხსნა. შემდეგ მან ალიანსის წევრი სხვა ქვეყნების დელეგაციებიც მოიარა. მათ შორის – პრაღა, ტალინი, ბერლინი, ათენი, რომი, ლონდონი, რიგა, ამსტერდამი, ვარშავა, ბრაგისლავა, ლისაბონი, მადრიდი და ვაშინგტონი. გამოფენა საქართველოს რამდენიმე ქალაქშიც მოეწყო. ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ქართველი ჯარისკაცების ავღანეთში მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები ბათუმში, მესტიაში, უშგულში, მუგდღიში და თბილისში გამოიფინა.



სიახლეები

ვაკა-ფშაველა ქართველი და უცხოელი კალიგრაფების შემოქმედებაში

29 ნოემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ვაკა-ფშაველას 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ქართველ და უცხოელ კალიგრაფთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ექსპოზიციაში ქართველებთან ერთად იაპონელი, იტალიელი, ნორვეგიელი, კოლუმბიელი, პერუელი, რუსი, უკრაინელი, გერმანელი, არგენტინელი, პროფესიონალი კალიგრაფების 120-ზე მეტი ექსპონატი გამოიფინა: პოემები, ლექსები და ფრაზები ვაკა-ფშაველას შემოქმედებიდან. 2011 წელს UNESCO-ს ეგიდით ვაკა-ფშაველას 150 წლის იუბილე მსოფლიო მასშტაბით აღინიშნა. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს მხარგმარ-კალიგრაფთა კავშირის წევრებმა ვაკა-ფშაველას პოემების მიხედვით შესრულებული ხელნაწერი წიგნები მოამზადეს. პროექტს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან პროფესიონალი კალიგრაფები შეუერთდნენ, რომლებმაც ვაკა-ფშაველას ლექსების მიხედვით კალიგრაფიული ნამუშევრები შექმნეს.

ქურნალის „Art ინფო საქართველო“ პრეზენტაცია

13 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ და შემოქმედებითმა ჯგუფმა „Art ინფო საქართველო“ ახალი სახელოვნებო ქურნალის „Art ინფო საქართველო“ პრეზენტაცია გამართეს. ქურნალი ყოველთვიურად გამოვა და მასში როგორც თანამედროვე ქართული, ისე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ლიტერატურული პროექტები გაშუქდება. ქურნალის პირველ ნომერში წარმოდგენილი მასალები მოიცავს ხელოვნების თეორიის ყველა დარგს; მკითხველი გაცნობა ცნობილი ავტორების ლაშა გახარიას, გიორგი საჯაიას, მურაბ ლეჟავას, ლუდმილა ულიცკაისა, ფრანსუაზა საგანის, ანა გაგაძლას, ვილჰელმ შმიდტის და სხვათა ნაწარმოებებს. ქურნალის რედაქციისა და შემოქმედებითი ჯგუფის წევრები ძირითადად თსუ სტუდენტები არიან.

თსუ მენიერების კვლევა ბაქტერიებთან ბრძოლის საშუალებებში

პირველი გვერდი

თსუ ბიოფიზიკის მიმართულების მასწავლებელი, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, მარიამ ხვედელიძე – მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არსებული სამედიცინო და გამოყენებითი ბიოფიზიკის ინსტიტუტის კვლევითი ლაბორატორიის განყოფილების გამგე, ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი; თამარ ფარცხალაძე – მუსგ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოფიზიკის მიმართულების ინჟინერი, ფიზიკის აკადემიური დოქტორი.

“ჩვენი კვლევის ძირითადი მიმართულება იყო იმ მექანიზმების შესწავლა თუ რა გავლენას ახდენს ბაქტერიის გამრავლებაზე ბაქტერიოფაგებისა და ანტიბიოტიკების მოქმედება. საქართველოში მიკრობების, ბაქტერიების და ბაქტერიოფაგების კვლევების დიდი გრადიენტი არსებობდა. მას შემდეგ რაც 1929 წელს ფლემინგმა ანტიბიოტიკი აღმოაჩინა, ბაქტერიოფაგები, როგორც ბაქტერიებთან ბრძოლის საშუალება, მთელმა მსოფლიომ დაივიწყა. თუმცა, სსრკ-ში კვლევები ამ მიმართულებით მაინც გაგრძელდა. მათ შორის ბაქტერიოფაგების სპეციფიკით მომუშავე დახურულ ინსტიტუტებში, რადგან ითვლებოდა, რომ ეს ბაქტერიული იარაღის წარმოებისთვის კარგი საშუალება შეიძლება ყოფილიყო. დროთა განმავლობაში აღმოჩნდა, რომ ე.წ. ვიგანგ ბაქტერიებზე, უკვე არც ერთი ანტიბიოტიკი აღარ მოქმედებს. მაგალითად, ციმბირის წყლული, რომლის განადგურება უნდა მოხდეს ქიმიური ან ფიზიკური მეთოდებით, ამიტომ ბაქტერიოფაგებთან დაკავშირებულმა კვლევებმა მეტი დაგვიროვა შეიძინა”. – აცხადებს თამარ მდინარაშვილი.

მეცნიერებმა კარგად იციან, რომ ბაქტერიის განადგურების საფრთხისას, როგორც წესი, სხვადასხვა გოქსინებს (სხვადასხვა წარმოშობის ნივთიერებები, რომლებიც იწვევენ ორგანიზმის ნორმალური ფუნქციების დარღვევას) გამოიყენებენ, რის შედეგადაც აღამიანს მინიმუმ დისკომფორტი ექმნება. „ანტიბიოტიკის“ მიღებისას მკურნე ბაქტერიებთან ერთად ნაღვრდება ორგანიზმში არსებული სასარგებლო ბაქტერიებიც, რაც დისბაქტერიოზს

იწვევს. მაშინ როდესაც ფაგებს შეუძლია ბრძოლა მხოლოდ მიანის მომგან ბაქტერიებთან, რა დროსაც გოქსინები არ გამოიყოფა. ბაქტერიოფაგები ბაქტერიების ბუნებრივ გამანადგურებელს წარმოადგენს. მათი დანიშნულება შესაბამისი ბაქტერიის მონახვა და შთანთქმა, დაშლაა. აქედან გამომდინარე, ძალიან კარგი იქნება, თუ ბაქტერიოფაგების და ანტიბიოტიკების ერთობლივ მოქმედებას შეეისწავლით – განმარტავენ პროექტის მონაწილეები.

თსუ მეცნიერთა მიერ განხორციელებული კვლევის პერიოდში მოხდა რამდენიმე ხელსაწყო მოდულირება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდა კვლევის მაღალ დონეზე წარმოება. როგორც თამარ მდინარაშვილი აღნიშნავს, კვლევის პროცესში მათ ბაქტერიების ძალიან ბევრი უნიკალური თვისებები დაადგინეს.

„ყველასთვის ცნობილია, რომ ანტიბიოტიკი კლავს ბაქტერიას, თუმცა ჩვენმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ანტიბიოტიკების ოდენობასაც. მაგალითად, ანტიბიოტიკი „ამპიცილინი“ დიდი კონცენტრაციისას ბაქტერია აღარ მრავლდება. მაგრამ, ჩვენ დავადგინეთ რომ, იგივე წამლის მცირე კონცენტრაციისას ბაქტერია მას საერთოდ იგნორირებას უკეთებს და ჩვეულებრივად მრავლდება. აღრე ჩაგარებული კვლევებიდან ცნობილია, რომ ბაქტერიაზე ერთი ფაგიც რომ დაჯდეს, ბაქტერიის განადგურების პროცესი აუცილებლად უნდა დაიწყოს. როგორც ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიდან ირკვევა, იმისათვის, რომ ბაქტერიოფაგმა ბაქტერიის ინფიცირება მოახდინოს, მის შედაპირზე საკმაოდ ბევრი ფაგი უნდა დაჯდეს“ – აცხადებს თამარ მდინარაშვილი.

პროექტის მონაწილეები დარწმუნებული არიან, რომ საერთოდ მათი კვლევის შედეგად ძალიან ბევრ კითხვას შეიძლება გაეცეს პასუხი. მაგალითად, რა მექანიზმები უნდა გავითვალისწინოთ წამლის მიღების დროს, დაახლოებით რამდენი ანტიბიოტიკი უნდა მოდიოდეს ბაქტერიითა გარკვეულ რაოდენობაზე და ა.შ.

საერთაშორისო გამოცდილება თსუ დოქტორანტებისათვის

იმ პროექტებს შორის, რომელიც თსუ სამედიცინო ფაკულტეტის მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის უახლოეს პერიოდში ამოქმედდება, ორის გამოყოფა შესაძლებელია. ერთი საქართველოში აშშ-ის საელჩოს დაფინანსებით ნიუ-იორკის უნივერსიტეტის საექთნო კოლეჯის პროექტია, მეორე – გრომსოს (ნორვეგია) უნივერსიტეტის.

საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის საექთნო კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში 15 ქართველ მაგისტრანტსა და დოქტორანტს სწავლება სამედიცინო კვლევის დაგეგმარებისა და მეთოდების საკითხებზე ჩატარდება. თსუ-ს გარდა პროექტში მონაწილეობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტები მიიღებენ. თსუ მედიცინის ფაკულტეტებიდან ქართულ-ამერიკული კომისიის მიერ კონკურსის საფუძველზე სავარაუდოდ 5 დოქტორანტი შეირჩევა.

თუ რა საჭიროება არსებობს სამეცნიერო კვლევების განვითარების კუთხით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამის დაზუსტება ამერიკელმა სპეციალისტებმა 2012 წლის ნოემბერში თსუ-ში ვიზიტისას გადაწყვიტეს. საამისოდ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის წარმომადგენლები ფაკულტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებსა და დოქტორანტებს შეხვედრენ. შეხვედრის შედეგად დოქტორანტებისათვის კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და სტატისტიკური დამუშავების მიმართულებით სასწავლო კურსების ჩატარების საჭიროება გამოიკვეთა. როგორც თსუ მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ქართული მხრიდან პროექტის კოორდინატორი ალექსანდრე ცისკარიძე აცხადებს, „სწავლება და კანდიდატურა შერჩევა 2013 წლის გაზაფხულის სემესტრში დაიწყება. ახლა მუშაობა ერთობლივი პროგრამის საბოლოო ვერსიის შექმნაზე მიმდინარეობს. პროექტის მიმდინარეობისას ამერიკელი პარტნიორების საქართველოში ვიზიტების გარდა, დაგეგმილია გელეკონფერენციები და „ონლაინ“ სწავლების მეთოდის აქტიური გამოყენება“.

კვლევის თვალსაზრისით, უკვე ევროპული გა-

მოდულების გაზიარება თსუ დოქტორანტებს მეორე პროექტის საშუალებით შეუძლიათ.

პროექტი – „სადოქტორო პროგრამები სამოგადოებრივ ჯანდაცვაში: სწავლების მესამე ციკლის ნორვეგიული გამოცდილება საქართველოსთვის“, 2012 წლის ივნისში გრომსოს უნივერსიტეტის ინიციატივითა და ნორვეგიის მთავრობის დაფინანსებით დაიწყო. გრომსოს უნივერსიტეტიდან თსუ-ის უშუალო პარტნიორი ჯანმრთელობის მეცნიერებების ფაკულტეტია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს თავისი კვლევის ფარგლებში პროექტის განმავლობაში ნორვეგიული გამოცდილების გასაზიარებლად სხვადასხვა შესაძლებლობა აქვთ. პირველ ყოვლისა, დაგეგმილია მათთვის ნორვეგიელი თანაუღმძღვანელის გამოყოფა. გარდა ამისა, მათ საშუალება აქვთ ისარგებლონ უნიკალური ეპიდემიოლოგიური კვლევის მონაცემთა ბაზით, რომელიც გრომსოში 1974 წლიდან არსებობს. ამ ეგაპე ნორვეგიელ პროფესორთან გასაუბრების შედეგად შერჩეულია ორი დოქტორანტი. აქცენტი იმ კანდიდატებზე გაკეთდა, რომელთა კვლევითი პროექტში საინტერესო იქნება გრომსოს მონაცემთა ბაზის გამოყენება და შედარებითი ანალიზის ჩატარება. შერჩეული დოქტორანტები პროექტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან და სამი თვის განმავლობაში გრომსოს უნივერსიტეტში იქნებიან მივლენილი. კვლევის დინამიკიდან გამომდინარე თითოეულისათვის ინდივიდუალურად დაიგეგმება სასწავლო თუ კვლევითი კომპონენტის შესრულება.

როგორც თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აცხადებენ, ნორვეგიელი პარტნიორების გაზაფხულისთვის დაგეგმილი ვიზიტისას თსუ-დან კიდევ ორი დოქტორანტი შეირჩევა. პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ერთობლივი პროგრამის შემუშავების დეტალებზე. მედიცინის ფაკულტეტზე იმელოვნებენ, რომ ნორვეგიელი პარტნიორების მომავალი წლისათვის დაგეგმილი ვიზიტებისას შესაძლებელი იქნება სასწავლო კურსების ნაწილის საქართველოში ჩატარებაც, რომელის მოსმენაც უკვე, შერჩეული კანდიდატების გარდა, სხვა დოქტორანტებსაც შეეძლება.

2013 – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო წელი

პირველი გვერდიდან



ფოტოკონკურსის „UNIკადრი“ გამარჯვებული ფოტოებიდან. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი კობახიძე



ფოტოკონკურსის „UNIკადრი“ გამარჯვებული ფოტოებიდან. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მეკო გრიშაშვილი

დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, თბილისის გარეუბანში, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში, საზეიმოდ გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო გრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

იუბილეს აღსანიშნავად უნივერსიტეტი სხვადასხვა მიმართულებით პროექტების და ღონისძიებების ციკლს გეგმავს.

10 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საიუბილეო წლის გამოსვლების ცერემონია შედგა. ღონისძიება სტუდენტური ფოტოკონკურსის „კადრი“ საუკეთესო ფოტოების გამოფენით გაიხსნა. ორგანიზატორებმა დამთავლიერებულს შესთავაზეს გასულ საუკუნეში გადაღებული ფოტოები და დღევანდლობა, სტუდენტების ფოტობიბლიოთეკაში მოხვედრილი უნივერსიტეტი და უნივერსიტეტელები. ფოტოკონკურსი უნივერსიტეტში ერთი თვის განმავლობაში გრძელდება, სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გადაეღოთ უნივერსალური კადრი უნივერსიტეტის შესახებ. კონკურსში სამ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული დასახელდა. ეიურის გადაწყვეტილებით საპრიმო თანხა 600 ლარი სამ გამარჯვებულზე თანაბრად განაწილდა. უნივერსიტეტის საუკეთესო პორტრეტის ავტორი სოციალურდაპოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი მეკო გრიშაშვილი გახდა, შენობის ფასადის საუკეთესო ფოტოკადრი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ერეკლე ქადაგიძემ გადაიღო, ხოლო სასწავლო პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების ამსახველი საუკეთესო კადრისთვის ჯილდო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს გიორგი კობახიძეს ერგო. კონკურსის ეიურის შემადგენლობაში ახალგაზრდა ფოტოგრაფები მინდა მივლავთ, ანა გოგუაძე და უნივერსიტეტის წარმომადგენელი ნინო ქუთათელაძე შედიოდნენ. თავისი რჩეული გამოავლინა ელექტრონული წიგნების პორტალი ლიგა-გე, რომელმაც საუკეთესო ფოტოს ავტორს „იოტა-როდერი“ (ელექტრონული წიგნების წამკითხველი), ხოლო გამარჯვებულ სამეულს ვაუჩერები გადასცა.

საქართველოს ეროვნული ატლასი

პირველი გვერდიდან



სის ელექტრონული ვერსიის შედგენა) განხორციელდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური ხელშეწყობით (გრანტი GNSFST06/5-073). ეროვნული ატლასი სახელმწიფო აგრიბუციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტს და ქვეყნის სავიზიტო ბარ-

ათს წარმოადგენს. საქართველოს პირველი ატლასის გამოცემიდან (1964 წ.) 40 წელზე მეტი გაივლია. შეიცვალა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარება, დაიძაბა ეკოლოგიური სიტუაცია. აღინიშნული რეალიების გათვალისწინებით აუცილებელი გახდა ახალი ეროვნული ატლასის მომზადება და გამოცემა.

ატლასში მოთავსებულია 135 სხვადასხვა თემატური რუკა – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების, გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, კლიმატური, ჰიდროლოგიური, ვეგეტაციური, ლანდშაფტების, ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის, ისტორიული და სხვა. რუკებს თან ერთვის შესაბამისი გეოქარტები, გრაფიკები და ილუსტრირებული ფერადი ფოტო სურათები. ატლასის მთავარი რედაქტორი: სრული პროფესორი, რამის გობეჯიანი; რედაქტორის მოადგილე: გეოგრაფიის დოქტორი, ალექსანდრე ჯავახიშვილი; დაბეჭდილია ს.ს. „კარტოგრაფია“-ში.

ყოველთვიური მაკროეკონომიკური მიმოხილვა – თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისგან

თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET) 19 დეკემბერს საქართველოს მაკროეკონომიკური ყოველთვიური მიმოხილვის პრეზენტაცია გაიმართა. მაკროეკონომიკური ანგარიში საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის მიერ მომზადდა.

ღონისძიება თსუ რექტორმა ალექსანდრე კვიციანი იხსნა: „მსგავსი ხასიათის ეკონომიკური დოკუმენტი პირველად მომზადდა. მომავალში ISET ყოველთვიურ ანგარიშს წარმოადგენს. ეს არის გამოცემა, რომლის ციტირებისა და გამოყენების საშუალება იქნება და ის საინტერესოა როგორც ამ სფეროში დაინტერესებული სტუდენტებისა და სპეციალისტებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის.“

ანგარიშის შესახებ მოკლე ინფორმაცია წარადგინა ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მკვლევარმა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრეწველმა გიორგი ბაქრაძემ. მისი თქმით, „მაკროეკონომიკური მიმოხილვის ძირითადი პარამეტრები ემთხვევა მსოფლიო ბანკის პროგნოზს. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 7.2 პროცენტს შეადგენს. ბოლო თვეში მომხმარებელთა ნდობის ზრდა გამოიხატა, რაც იმის მონაცემებზეა, რომ ეკონომიკური ზრდა არ შენედა. დანარჩენი პარამეტრები წლის დასასრულის მაჩვენებლებს შეესაბამება. ასე, რომ ქვეყანაში ეკონომიკური პროცესი სტაბილურია.“

მაკროეკონომიკური ანგარიში შეაფასა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესხერიამ.

ბატონობა მ-4 მმ.



იხი ჩვენთან ერთად

„სექტორი 12“ – ფინალი



10 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტის – „სექტორი 12“-ის ფინალი გაიმართა. პროექტის მიზანია იყო სათავადაზნაურო ტურის მეშვეობით სტუდენტები უკეთ დაუფლებულნი უნივერსიტეტის ისტორიის და შეეცოთ უფრო მეტი უნივერსიტეტის მოღვაწეების შესახებ.

შემდგომებით პროექტი გულისხმობდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაყოფას პირობით 12 სექტორად. თითოეულ სექტორში განთავსებული იყო სპეციალური კოდი, რომელსაც კონკურსანტები მინიშნებების ამოხსნის გზით პოულობდნენ. კოდების მოწოდების შემდეგ თითოეულმა მონაწილემ მიიღო კონკურსის სიმბოლო. 12 სიმბოლის მფლობელი 12 ფინალისტი ერთმანეთს ინტელექტუალურ თამაშში შეეჯიბრა:

თითოეულ მონაწილეს ორგანიზატორებმა დამოუკიდებელი გზებით გადასცეს, რომელიც უნივერსიტეტის ლოგოს ავტორი დამიგრი შვეარდნაძის სახელს უკავშირდებოდა. მონაწილეებს 12 ამოცანის ამოხსნა ევალებოდათ, სწორი პასუხის ავტორი კი, დარჩენილი სიმბოლოების პოვნას განაგრძობდა. საბოლოო ჯამში უნივერსიტეტის ლოგოს შემადგენელი 24 ცხრილის შეგროვებით და ლოგოს შექმნით პროექტის გამარჯვება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თინგო სულთანიშვილმა მოიპოვა. გამარჯვებულ კონკურსანტს ფულადი პრემია 1000 ლარი გადაეცა.

ერთი თვის განმავლობაში ვიყავი ჩართული სექტორის პროექტში, ასეთი საინტერესო თავგადასავალი მონაწილეობა არასოდეს მიმიღია, ყოველდღიურად აღმოვაჩენდი ახალ უნივერსიტეტის შესახებ და მოხარული ვარ, რომ მსგავსი ფორმით უნივერსიტეტის ისტორიას დავეფუძო“, – აღნიშნა კონკურსის გამარჯვებულმა. საიუბილეო წლის ფარგლებში უნივერსიტეტი კიდევ მრავალ აქტივობას გეგმავს, 8 თებერვალს კი, უნივერსიტეტი 95 წლის იუბილეს საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს.

„სტოპობა ტკივილის ბარემე“



18 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პალიატიური მზრუნველობის მხარდაჭერის საქველმოქმედო აქცია - „ცხოვრება ტკივილში გარეშე“ გაიმართა. ღონისძიებას პირველი ლედი სანდრა ელისაბედ რულოუსი და ბიზნესკომპანიების წარმომადგენლები დაესწრნენ. საქველმოქმედო კომიტეტმა -ლალი მესხმა, ნიკოლ ჟორდანიამ („ნოუ ჯგუფი“) და ლენა კიდაძემ („საქართველოს ამერიკელი მეგობრები“) მოხუცებულთა დასახლებებზე სტუდენტების მიერ შემოწირული თანხის გაზრდის მიზნით ღონისძიებაზე ათზე მეტი კომპანია მოიწვიეს.

საქველმოქმედო კომიტეტის წევრმა ლალი მესხმა პროექტის მთავარ მიზანზე - პალიატიური მზრუნველობის პროცესში სტუდენტებისა და მთელი საზოგადოების ჩართულობაზე გაამბიჯა ფრაზა: „სტუდენტებმა თანხა იმ მოხუცებისთვის შეაგროვეს, რომელთაც მუდმივი მზრუნველობა სჭირდებათ. იღაც თსუ სტუდენტებმა დიდი ენთუზიაზმით აიტაცეს და საკუთარი იდეები წარმოადგინეს იმისათვის, რომ აქცია ერთჯერადი არ იყოს.“

საქველმოქმედო აქცია „ცხოვრება ტკივილში გარეშე“ პალიატიური მზრუნველობის მხარდასაჭერად თსუ-ში 20-27 ნოემბერს საქველმოქმედო კვირეულით დაიწყო. კვირეული საქველმოქმედო კომიტეტისა და თსუ სტუდენტების საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართა. სტუდენტებმა საქველმოქმედო შემოწირულობების ყუთები თსუ სასწავლო კორპუსში განათავსეს. სტუდენტების შემოწირულობით მოზიდული თანხა თბილისის ფერისცვალების მონასტერთან არსებული პალიატიური მზრუნველობის ცენტრს გადაეცემა. აღნიშნული 2003 წელს ჩამოყალიბდა, სადა მღვდლობრების გაუმჯობესების მიზნით 100-ზე მეტი მოხუცებული იყოფება.

თსუ რექტორის ალექსანდრე კვიციანიშვილის განცხადებით, „ნებისმიერი ქვეყნის განვითარების დონე, კულტურა იმ კუთხითაც ფასდება, თუ როგორ უვლის ეს ქვეყანა შეჭირვებულ ადამიანს. თუმცა, ეს მხოლოდ სახელმწიფოს ვალდებულება არ არის; მთელ საზოგადოებას გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს ეს პრობლემა და მზად უნდა იყოს თანადგომისთვის. ამ საქმეში სტუდენტების აქტივობა და ჩართულობა აუცილებელი და მნიშვნელოვანია.“

„პალიატიური მზრუნველობა მარტო წამლების მიწოდება, სიმპტომების კონტროლი ან ტკივილის მართვა არ არის. ეს სოციალური და ადამიანური ურთიერთობის ერთობლიობაა. საქართველოში პისპისის სახით ან ბინამე მომსახურებით წელიწადში 7500-მდე ადამიანს სჭირდება ეს სერვისი. მსგავსი სახის სერვისით პაციენტები თბილისში, ოპორტოში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდსა და თელავში სარგებლობენ. არასამთავრობო სერვისის ამით მთავრობას ამ მომსახურების აუცილებლობა უჩვენებს. იმედი მაქვს, ახალი მთავრობა განაგრძობს ამ სერვისს და სადაზღვევო პაკეტში შეიტანს.“ – აღნიშნა საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა ელისაბედ რულოუსმა.

აქციაში პირველი ლედი, და ბიზნესკომპანიების აქტიური მონაწილეობით პირველ ეტაპზე შემოწირულობის თანხამ სამი ათას ლარს გადააჭარბა. აქტივობა ამ მიმართულებით მომავალშიც გაგრძელდება. თსუ სტუდენტებმა. საზოგადოების უკეთ ინფორმირების და საქველმოქმედო აქციებში ჩართვის მიზნით 2013 წლისთვის სხვადასხვა სახის აქტივობები დაგეგმეს, მათ შორის, საქველმოქმედო აქცია და პალიატიური დახმარების მოხალისეთა ჯგუფის შექმნა.

სიახლეები

თსუ ბიბლიოთეკის კინოკლუბი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის კინოკლუბის პრემიერა გაიმართა. პრემიერაში მონაწილეობა მიიღო...

მოგონებები გოდერძი ჩოხელის შესახებ

15 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნინო მელქაძის წიგნის „ნაწილიანის“ (მოგონებები გოდერძი ჩოხელის შესახებ) პრემიერა გაიმართა. წიგნში შესულია მწერლის, მსახიობის, ოჯახის წევრების, მეგობრების მიერ მოთხრობილი საინტერესო და უცნობი ეპიზოდები გოდერძი ჩოხელის ცხოვრების და შემოქმედების შესახებ, ასევე გამოქვეყნებული ფოტოები. „ნაწილიანის“ პრემიერის დროს გამოცხადდა ლიტერატურული კონკურსი „ცასწავლა“, ხოლო თსუ-ს თეატრალურმა დასმა გოდერძი ჩოხელის ნაწარმოებების მიხედვით ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინა.

საკონსულტაციო შეხვედრა თსუ-ში

5 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ყველა საფეხურის სტუდენტთან, ახალგაზრდა მკვლევართან, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. შეხვედრა ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ERASMUS MUNDUS-ის პროექტის: WEBB – მთელი ევროპა სამღერებს მიღმა და BACKI - შავ და კასპის ზღვებს შორის კოორდინაციის მიზნით ბოლონის უნივერსიტეტის (იტალია) წარმომადგენელ ფრანჩესკა მალგაუროსა და მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) წარმომადგენელ კოლინ ვოლესთან შედგა.

საჯარო ლექცია იურისტებისთვის



5 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ნოტარიუსთა პალატის აღმასრულებელმა დირექტორმა თეა აბრამიძემ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ნოტარიატის სისტემაში გატარებულ რეფორმებსა და ახალ სანოტარო სერვისებთან დაკავშირებით საჯარო ლექცია გამართა. ლექციაზე ყურადღება სტუდენტებისთვის აქტუალურ სიახლეებზე გამახვილდა. 2010 წლიდან ნოტარიუსთა პალატაში მოქმედებს სასწავლო ცენტრი, რომლის ორგანიზებით, სტუდენტთა სწავლებისა და დასაქმების კუთხით, რამდენიმე პროექტი ხორციელდება.

ნოდარ ხალურის ლექცია ნორჩი ეკონომისტებისთვის

1 დეკემბერს თსუ „ნორჩი ეკონომისტთა სკოლის“ მოწვევით ლექცია წაიკითხა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაკროეკონომიკის კათედრის სრულმა პროფესორმა, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხალურმა.

ფული და საბანკო საქმე მესოპოტამიიდან – დღემდე



29 ნოემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) ორგანიზებით გაიმართა საჯარო ლექცია თემაზე: „ფული და საბანკო საქმე: მესოპოტამიიდან დღემდე“. ლექცია წაიკითხა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა მკვლევარმა, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველმა გიორგი ბაქრაძემ.

„თსუ-გორდელა“ მსმენელს წინასაახალწლო კონსერტებზე ელის



24, 27 და 28 დეკემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფოლკლორული ანსამბლი „თსუ-გორდელა“ მსმენელს საახალწლო კონსერტებზე ელის. „გორდელამ“ თავიანთი მემკვიდრეობის სხვა სიურპრიზიც მოამზადა – ახალი საიტი www.gordela.ge, რომელზეც ანსამბლის ისტორია და სიახლეები იქნება განთავსებული. შეგახსენებთ, რომ „თსუ-გორდელა“ 2007 წელს ჩამოყალიბდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მასში გაერთიანებულია თსუ-ს სხვადასხვა

ფაკულტეტის 11 სტუდენტი გოგონა. ანსამბლის რეპერტუარი მოიცავს მელიქების ფართო სპექტრს, რომელსაც მიყვაროთ ადრეულ შუა საუკუნეებამდე და ამასთანავე პირვანდელი სახით ინარჩუნებს საქართველოში საუკუნეების განმავლობაში შემონახულ, უძველესი წარმომავლობის მქონე თვითმყოფად და გამორჩეულ მუსიკალურ კულტურას. ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული გრადიციული მუსიკა არანეირებულია ანსამბლის ხელმძღვანელის, ვლადიმერ (თამაზ) მაძალაძის მიერ. ანსამბლი ასრულებს მრავალხმიან ხალხურ სიმღერებს, როგორც აკაპელა, ასევე ინსტრუმენტების თანხლებით. მისი წევრები უკრავენ უძველეს ქართულ ხალხურ საკრავებზე: სიმებიანი – ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, ჩანგი; ჩასაბერი – სალამური, ჭიბონი, ღარჭემი; დასარგებელი – ღოლი, დაირა; ასევე გარმონი. მიუხედავად არსებობის მცირე პერიოდისა, ანსამბლმა სწრაფად მოიპოვა პოპულარობა, ანსამბლი არის სხვადასხვა ფესტივალის ლაურეატი, რაც მისი წევრების მაღალი პროფესიონალიზმის დამსახურებაა.

„ლიტერატურისმცოდნეობის მუსავალი“

სახელმძღვანელო „ლიტერატურისმცოდნეობის მუსავალი“ სულ რამდენიმე თვეა რაც გამოიცა, თუმცა უკვე საკმაოდ რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებრივ წრეებსა და საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც კი ლიტერატურისმცოდნეობა ისწავლება. როგორც მისი ავტორები აცხადებენ, წიგნისადმი ინტერესი იმდენად დიდია, რომ 2013 წლისთვის მისი ახალი გირაჟით გამოცემა დაგეგმილია. წიგნი – „ლიტერატურისმცოდნეობის მუსავალი“ – სამეცნიერო საგრანტო პროექტის – „ლიტერატურისმცოდნეობითი დისკურსი. თანამედროვე კვლევები“ – ფარგლებში (დონორი ორგანიზაცია – რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) მომზადდა. პროექტი 2007-2010 წლებში თსუ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოგადი და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობის

მიმართულების პროფესორების მონაწილეობით განხორციელდა. წიგნის რედაქტორი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ირმა რაგაიანი განმარტავს: „პროექტზე მუშაობის დაწყება, ძირითადად, იმით იყო განპირობებული, რომ საბჭოთა ეპოქაში გამოცემული სახელმძღვანელოები, საბჭოთა იდეოლოგიისა და პოეტიკის კანონების შეგავლენას განიცდიდნენ და თანამედროვე მითხვენებს ვეღარ აკმაყოფილებდნენ. ამასთან, ლიტერატურისმცოდნეობის დარგმა მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ცვლილებები განიცადა, რომელთაასახეც ძველი გიგანტური სახელმძღვანელოებში შეუძლებელი იყო“. წიგნის დიდი ნაწილი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ მომზადდა და შეიცვალა თსუ პროფესორთა სალექციო კურსებისა და სემინარული მუშაობის მრავალ წლიანი გამოცდილების გათვალისწინებით.



კვლევაში ჩართული იყვნენ ცნობილი ქართველი მკვლევრები, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები: ირმა რაგაიანი, თენგიზ კიკაძე, თამარ ლომიძე, ლევან ბრეგვაძე, თამარ ლომიძე, რუსუდან ცანავა, სოლომონ გაბუცაძე, ვენერა კავთიაშვილი, თამარ ბარბაქაძე, მანანაჭყეაძე, ნინო პოპიაშვილი, თინათინ ბოლქვაძე. „ლიტერატურისმცოდნეობის მუსავალი“ შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ მრავალ სახელმძღვანელოთა შორის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოცემაა.

ყოველთვიური მაკროეკონომიკური მიმოხილვა – თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისგან

პირველი გვირგვინი

ვილმა: „ეროვნული ბანკის ინტერესებშია მსგავსი კვლევებისა და ანალიტიკური გამოცემების არსებობა, რომელიც კერძო სექტორისთვის, ბიზნესისთვის ხელმისაწვდომი და საჭიროა. დამოუკიდებელი, ალტერნატიული და მიუკერძოებელი კვლევის არსებობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია.“ დოკუმენტში განხილულია ის ეკონომიკური მოვლენები, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ოქტომბრის განმავლობაში. მასში თანმიმდევრულად არის განხილული ქვეყნის ეკონომიკის რეალური, მონეტარული, ფისკალური, ფინანსური და საგარეო სექტორები. მაკროეკონომიკური ანგარიში ასევე განხილავს მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარ იმ მოვლენებს, რომელთაც გავლენა მოახდინებს საქართველოზე. საქართველოს მაკროეკონომიკის



ყოველთვიური მიმოხილვა გიორგი მდიდარ დოკუმენტს, მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი მოცემულია. წარმოადგენს მოკლე, მაგრამ რომელშიც ხელმისაწვდომი ინფორმაციულად და ანალიზით საქართველოს